ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბრძანება**

26.07.2012 N 94

**თბილისი**

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი სწავლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის განყოფილების უფროსს დ. ბიბილეიშვილს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვლი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 10 სექტემბრისა;
5. ძალაში დარჩეს სტუ–ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
6. 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების მომზადება და მისი დამოწმებული ასლის სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ

ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 14 სექტემბრისა;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს;
8. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ზ.მაისურაძე

*დანართი 1*

აღდგენისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
8. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

*დანართი 2*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე ________________ ლ. კლიმიაშვილი

# დასკვნა

## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტის სტატუსის აღდგენა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | | | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი | | | |
| სტუდენტის პირადი ნომერი | | | |
| განათლების საფეხური: | ❑ პროფესიული უმაღლესი<br>❑ მაგისტრატურა | ❑ ბაკალავრიატი<br>❑ დოქტორანტურა | |
| უსდ, რომელშიც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე: | | | |
| ფაკულტეტი, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე | | | |
| სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვამდე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | | | |
| უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | | გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტი: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შეფასება | საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების სრული ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
| | ECTS კრედი-ტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედი-ტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |

| დასკვნა: | |
|---|---|
| ☐ რეკომენდებულია აღდგენა | ☐ აღდგენა არ არის რეკომენდებული |
| | |

| შენიშვნა |
|---|
| |

| მიმღებ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |
|---|---|

| ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |
| | | |
| | სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: | |

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი: ____________ ____________ ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი: ____________ ____________ ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: ____________ ____________ ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი: ____________ ____________ ხელმოწერა